№ 124. 17 ივნისი, ხუთშაბათი. 1866—1882 17 ივნისი, ხუთშაბათი. № 124.

რედაქცია

...გან-ისპროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებ-... ქვემოთ.

ხელის-მოწერა

...მიიღება თფილისში „დროების“ რედაქციაში, ქუ-... ჭილაძის (გერარდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე ...მწერლებისთვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редак-... „Дроэба“.

„დროების“ ფასი:

...წლისა . . . 9 მან. ‖ სამის თვისა . . . 3 მან.
...თვისა . . . . 5 მან. ‖ ერთის თვისა . . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდის ასოებით, ასოზე 1 კაპ., ასო-მოსაგრძელო... ასოზე ნახევარი კაპ., ჩვეულებრივის ასოთა სტრიქონ-ზე 8 კაპ.

თუ ხარჯი... მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. და-უბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ფელეტონი „დროებისა“ დარიგეთი მაური.

ყოველ-დღიური გაზეთი

„დროება“

...ველის ივნისიდამ წლის და-...ვამდინ ღირს ექვსი მანეთი.

...ადრესი: Тифлисъ, редакція „Дроэба“.

...ართველ ქალებისაგან ნათარგმნი

## მოთხრობანი

წიგნი მეორე.

...იყიდება ტფილისში: შავერდოვ-...ნთან, ჩარკვიანთან და ზრიქურიძის ...ების მაღაზიაში (ბალის პირ-და-პირ).

ქუთაისში: ჭილაძის და ნიკოლა-...ის მაღაზიაში.

გორში: მ. ქერესელიძესთან.

## ტელეგრამა

(„საერთო-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

პეტერბურღი, 15 ივნისს. პეტერ-...ურღის ნემეცურს გაზეთში დაწერი-...ლია, ტყუილია ის ამბავიო, რომ ...თითქმ რუსეთს და სპარსეთს შო-...რის საიდუმლო პირობა არის შეკ-...რულიო.

„პეტერბურღის უწყებებში“ დაბეჭ-...დილია, რომ 1883 წელს ხერსონში ...ეთ...ის იხსნებაო.

სტამბოლი, 14 ივნისს. ხონთქარ-...მა მეჯიდიეს პირველი ხარისხის ორ-...დენი უბოძა არაბი-ფაშას, ეგვიპტეს ...ქედივს საჩუქრად ბრილიანტებით შემ-...კობილი საჩუქარი.

პეტერბურღის ბირჟა, 15 ივნისს.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბანკის ბილეთები: | | |
| პირველი გამოცემისა — | 93 — | $50^1/_2$ |
| მეორისა — — — — | 90 — | 50 |
| მესამესი — — — — | 90 — | $37^1/_2$ |
| მეოთხესი — — — | 90 — | $25^1/_2$ |
| მეხუთესი — — — | 90 — | 50 |
| აღმოსავლეთის პირვ. — | 89 — | 50 |
| აღმოსავლეთის მეორე | 89 — | 50 |
| აღმოსავლეთის მესამე | 89 — | „ |
| ოქრო, $^1/_2$ იმპერიალი | 8 — | 24 |
| შინაგანის 5% სესხი ბილეთები: | | |
| პირველი სესხის — — | 217 — | „ |
| მეორე სესხის — — | 209 — | 75 |

100 მანეთი ღირს:

| | | | |
|---|---|---|---|
| ლონდონი — | 24 — | 9 | პენსი |
| ჰამბურღი — | 205 — | 75 | ცენტი |
| პარიჟი — — | 252 — | 50 | სანტიმი |
| ბერლინი — | „ — | „ | პფენიგი |

## დღიური

ტფილისის კლასიკურ გიმნაზიაში წლის სულ შვიდმეტ ყმაწვილ-კაცს შეუსრულებია სწავლა; ამათში ცხრა სომეხია თურმე, შვიდი რუსი, ერთი ნემეცი და ქართველი კი... არც ერთი.

* * *

გუშინ, 15 ივნისს, ტფილისის სა-მოსამართლო პალატამ განიხილა სუ-რამის მომრიგებელ მოსამართლის ბ. პაფაფოვის საჩივარი ადრინდელ „ობ-ზორის“ რედაქტორზე ბ. ნ. ნიკოლა-ძეზე, რომელზედაც სასამართლოში შეეტანა საჩივარი გაზეთით ცილის-წამებაზედ (დიფამაციაზედ). სასამარ-თლომ დამნაშავედ იცნო ბ. ნიკო-ლაძე და ხუთასი მან. ჯარიმის გარ-დახდა გადაუწყვიტა.

* * *

გაზეთს „კავკაზში“ დაბეჭდილია ძლიერ სასიამოვნო ამბავი ქუთაისის სააზნაურო სკოლაში სწავლის მსვლე-ლობის თაობაზედ. კორრესპონდენტი დასწრებია მოწაფეების ეგზამენს და ამგ... ისეთის სიმკვირცხლით და სითამამით უგდიდნენ პასუხსო, რომ ყველაზე ჩინებული შთაბეჭდილება მოახდინა ამათ მომზადებამაო. ამას კორრესპონდენტი უმატებს:

„რასაკვირველია, ამ მოწაფეების წარმატება მასწავლებლებსა და ინსპექ-ტორს მიეწერება; მაგრამ ამ წარმა-ტებაში, უეჭველია, არა-მცირედი წი-ლი უდევს აგრეთვე იმ გარემოებასაც, რომ ამ სასწავლებელში პირველის ორის წლის განმავლობაში ყმაწვი-ლებს სამშობლო ენაზედ ასწავლიანო“.

* * *

ჩვენ მივიღეთ ახალ-სენაკიდამ შემ-დეგი შენიშვნა გაზეთში დასაბეჭ-დად:

„ამ წელში სენაკის მაზრის გლე-ხებს დაედვათ საზღვევლად კარგი ძალი ძველი გადაუხდელი ხარჯი (ნე-დოიმკა), რადგან გადასახადი მოეშა-ტათ 1880 წლიდამ.

„ამ მომეტებული ფულის შამო-ტანა ხაზინაში დაგვიანდა ერთი იმის-თვის, რომ სათემო (ზემსკის) სმეტა 1880—1882 წ. მხოლოდ წასრულს წელში დამტკიცდა და მეორე იმის-თვის, რომ განკარგულება საეკლესიო გლეხების სახელმწიფო უწყებაში შე-რიცხვაზედ მომეტებულის გადასახა-დით 1881 წლიდამ, იქნა სისრულე-ში მოყვანილი წასრული წლის დამ-ლევს.

„საზოგადოთ თითოეულს კომლს დაედვათ წინა წლების ხაზინაში შა-მოსატანი ფული, და განსაკუთრებით საეკლესიო გლეხებს კი 6—7 მანე-თი ერგოთ გადასახადათ კომლზედ“.

„ამ „ნედოიმკების“ ხაზინაში შამო-ტანის თაობაზედ, ფიცხელი განკარ-გულება არის მთავრობისაგან, რომ-ლის ძალით ბ. პრისტავს ლ. ა. მამა-სახლისების საშუალებით თუმც გადა-უხდევინებია გლეხებისთვის, მაგრამ რამოდენიმე სოფლისთვის გამოურთ-მევია მამასახლისისათვის იმ აზრით, რომ „მე შევიტან ხაზინაშიო“ და ასე ამ ნაირათ მარტის მოგროვილი ფუ-ლი, დღესაც არ არის ხაზინაში შე-ტანილი.

„არ ვიცი რა სიმართლით გამოარ-თვა ბ. პრისტავმა მამასახლისს სახელ-მწიფო ფულები, როდესაც უფრო რიგი და კანონია, რომ ფულის მომ-გროვებელმა თვითონვე პირ-და-პირ უნდა შეიტანოს ხაზინაში? რათ გაუ-ჩერებია ბ. პრისტავს მარტის თვიდამ ეს ფულები და არ შეუტანია ხაზინა-ში, როდესაც ქალების წივილ-კივი-ლით და ვაი-ვაგლახით არა ერთი ხა-ლიჩა, ქვაბი და სხვა ხორაგეულობა ვაეყიდებოდათ გლეხებს ამ ფულებ-ში და უკეთუ, ამ გადასახადის გაჩე-რება კი შეიძლებოდა; ნუ თუ უფრო რიგი არ იყო საწყალი გლეხებისათვის ედროებიათ“?

—

შეცდომა. გუშინწინდელ „დროე-ბის“ ფელეტონში „დავიწყებული კუთხე“ შემდეგი უმთავრესი შეცდომანი უნ-და გასწორდეს:

1) მეოთხე სვეტზე, მე-14 სტრი-ქონში სიტყვა „საჟნებელია“-ს მაგიერ უნდა იყოს „სასარგებლოა“. 2) მესამე სვეტში შენიშვნაში „15“ მაგიერ უნ-და იყოს „65“. 3) მეოთხე სვეტში „აქტანის“ მაგიერ „არტანი“.

---

„დროების“ ფელეტონი, 17 ივნისი.

## ბათუმის ამბები

რაც დრო მიდის, იმდენათ დ...ტკბა სიცოცხლის სახსრები ჩვენს ბათუმ... მაგრამ, სამწუხაროთ, ეს სიცოცხ-ლე ერთობ ჩამოჰგავს მომაკვდავ ავად-მყოფს, რომელიც მოლიდის უხეირო ...ალათ ექიმს“ უხეირო წამლობით ...გაბრიდება და იმის როგორც სიცო-ცხლე, ისე სიკვდილი საეჭვო მდგომა-რეობაში იქნება!

სიცოცხლის ნიშანი მხოლოდ იმა-...ში იგულისხმება, რომ აქ ერთობ ...მრავლდება შენობების კეთება, ასე რომ ...ც გაიხედავთ, ერთ და ორ სარ-...თულიანი სახლები სოკოსავით ჩნდე-...ბიან, მარტო მომავლის დიდი იმედით ...და რკინის გზის თითქმის მთელ კავ-კასიასთან შეერთების მოლოდინით. მომაკვდაობა კი.... მაგრამ ეჰ!... სჯობს გავჩუმდეთ, რადგანაც წყლის ნაყვას დაემსგავსება...

სიცოცხლის ერთი ნიშანიც: გუშინ 1 ივნისს აქ გამოვიდა პირველი ნო-მერი აქაური ყოველ დღიური გაზე-თისა, სახელ-წოდებით „Батумскій Листокъ“ და ბ. კ—. ვაჩნაძის რე-დაქტორობით, რომელიც იბეჭდება ბ. ალ. მ. ხარაძის სტამბაში და თა-ვისი უფერულის გარეგნობით და ში-ნაარსით ეღირება აქაურებისათვის წე-ლიწადში 9 მანეთი და გარეშე ხე-ლის მომწერლებისთვის 10 მან. 50 კაპ. გაზეთის ფორმატი ადრინდელ „დროების“ ფურცლებზე უფრო მომ-ცროა და ისიც მომატებული ნაწილი გაზეთისა განცხადებებით სავსე.

მე მგონია, ჯერ-ჯერობით ბათომ-ში გაზეთი ცოტა უდროა და თავის გარემოებული პირობებით უმნიშვ-ნელო და უსიცოცხლო [illegible]. მაგ-რამ ამაში ყველაზე უკეთესად თვით პირველმავე ნომერმა დაგვარწმუნა; ყველასათვის ცხადია, რომ აქ, თუ არ ჩინოვნიკურ გაზეთს, სხვას სი-ცოცხლე არ შეუძლია და არც მო-სახსენებელია, მაგრამ, სჩანს ბ. ვაჩ-ნაძეს ან ნაკლებათ ცოდნია ლიტე-რატურის მოთხოვნილება, ან ჰგონის, რომ ერთხელვე მინიჭებული უფლე-ბა არ დაჰკარგოს შემდეგში ისარგებ-ლოს ამ გაზეთით.

რომ ბ. ვაჩნაძეს ნაკლებათ სცოდ-ნია ლიტერატურისა და ადგილობრი-ვი საჭიროება და მოთხოვნილება, და ამის დასამტკიცებლად გეტყვით, რომ იქ სადაც სამხედრო ნაწილის ხელობა ყოველ ნაირი ხალხის ბედის მართვა და ერთ რომელიმე დაბალი უწყების წევრს შეუძლია ყოველნაირი უფლე-ბით მაღლა იდგეს, თუ გინდ წარჩი-ნებულ მოქალაქეზე, და იქ, სადაც იმისთანა ადმინისტრაციული მთავრო-ბა განუსაზღვრელის უფლებით სარ-გებლობს, იქ ამისთანა ლიტერატუ-რულ ორგანოს არასოდეს საძირკვე-ლი მკვიდრ ნიადაგზე არ უდგამს,— რადგანაც იმას ადვილად შეუძლია გაგითხაროს სამარე და შენ კი, თუ ნატარიუსის წესით დამტკიცებული საბუთები არ გაქვს, ცარიელ სიტყვა-საც კი ვერ იტყვი საჯაროდ; და ხომ მოგეხსენებათ, ეხლა ჩვენ ისეთი სუ-ლელი ჩინოვნიკები ცოტა გვყავს, რომლებმაც თუ ბოროტ-მოქმედების

## „დროების“ კორრესპონდენციები

—

**ხაშური, 7 თიბათვე.** ტყუილი კი არ უთქვამს ჩვენ მამაპაპებს: გლეხები შესაჭმელები ვართო,—და აკი გვჭამენ კიდეცა. ბატონო, რომელს ერთ გაუძლევეთ წინ, რომელ ერთს გავაწვდინოთ ჩვენი ოფლითა და წვალებით მოგებული ფული ან ხორაგეული! სადაც მიიხედამ, სულთა-მხუთავივით ჩაგვდგომია მოვალე კარებში და ლუკმა-პურს გვართმევს, ცოლშვილის, ტანისამოს გვასყიდვინებს. სუყველა ოჯახში „ვაისა და უის“ მეტს კი ვერას გაიგონებს კაცი.

ვინ რას იტყვის, რომ გვახდევინონ ის, რაც კანონით დადებულია, მაშინ, როგორც იქნებოდა, სწორე მაინც შევხედავდით მტერსაც და მოკეთეებსაც.

სკოლა გავხსენით, ერთი-ორათ გადაგვახდევინეს სკოლის ხარჯი და ჩაულაპეს მოხელეებმა. აი რისთვის არის, რომ ბევრ ჩვენგანს აუცრუვდა სკოლაზე გული, ამისთანა სასულიერო საქმეზე. აბა ვინ გაამტყუნებს, ან რაშია გასამტყუნარი ჩვენებური გლეხი? ჰკბენენ და რომ ხმა არ ამოიღოს—ეგ მეტი სულ-გრძელობა იქნება.

ამას ვილა ჩივის. აქაურობა მღვდელმა ს-ვმა სულ მთლად აგვალებინა ხელი საყდარზე: ჩვენ ეხლა აღარც ღმერთისა ვართ, აღარც კაცისა. არ ვიცი ეხლა გამოვიდა, თუ წინათაც იყო ეს კანონი, რომ მღვდელმა ქართველების საყდარში, ისიც სოფელში, სადაც სულ ქართველობა დაიარება, სწიროს და ლოცულობდეს რუსულათ, არ გვესმის: პირადი ანგარიშისთვის თავისი მრევლი, რომელმაც ასე გაუსქელა ქისა, როგორ ანაცვალა აქაურ რუსის „მათუშკებს“,

ეს ხომ ესე, მაგრამ ჩვენმა მღვდელმა ის ფული რაღა უყო, რომელიც ხაშურში შეკრიბა ბარზიმ-ფეშხუმის საყიდლათ? რატომ არაფერს გვეუბნება იმ ფულებზე, თუ არ უნდა ყიდვა მოქცეს ისევ, ათი თუმანი კარგი შემწეობას მისცემს ჩვენ სკოლას. მართალია, მღვდელს ბევრი დააკლდება იმ ფულების დაბრუნებით, მაგრამ არა უშავს-რა: ეყოფა ის სარგებლობაც, რასაც აძლევდა ის ჩვენი ფული: ეხლა კარგ კაკალ ოც-და-ათ თუმანს აალებინებდა იმის სარგებელი.

სანთლებია ამბავი? (ბატონო) მამაო, რას იტყვით ამაზე? ეს სხვა დროისთვის იყვეს, ეხლა უფრო საჭირო რამეზე უნდა შემოგჩივლოთ.

რა ვუყოთ, რომ იმავე მღვდლის წყალობით ასე გაგვიძნელდა ჯვარისწერა. თუ ერთი-სამათ არ გადაგვახდევინა ჯვარის საწერი ფული, გული არ მოუსვენებს.. ეს რომ ცილისწამებათ არ ჩამოგვართვათ, ერთს ეხლახან სოფ. ზემო-ჭალაში (ნახევარი ვერსია ხაშურიდგან) მომხდარ ამბავს გიამბობთ.

ერთი გორელი დაინიშნა ზემონათქვამ სოფლელ ქალზე. ჯვარისწერის დრო მოვიდა. სამეფომ მოწმობა წარუდგინა გორელის მღვდლისა და თან ერთი წითელი ქაღალდიც. წითელი ქაღალდი ეცოტავა მღვდელს, მოწმობა დაიწუნა და უკუ-უგდო. საწყალი ბიჭი აქეთ ეცა, იქით ეცა და ხელ-მეორეთ მოუტანა ქაღალდი; ფულის მომატებაზე კი სიტყვა არა სთქვა. გამწყრალმა მღვდელმა ქალზე გადიტანა თავისი მრისხანება: მეტრიკის ქაღალდში არ სწერიაო. მოხდა ერთი არევა: მიგზავნ-მოგზავნა დასათანხმებლად. მაგრამ სულ ამაოდ გახდა, მინამ ერთ წითელს მეორე წითელიც არ მიაყოლეს.

აბა, ბატონო, ასეთ გაჭირებაში და შევიწროებაში ვართ ამ მღვდლისაგან და გვიშველეთ რამე... ამბობენ ეგზარხის კანტორაში ძმა ჰყავს და ის ესარჩლებაო და ამისთვისაც ესე უშიშრათ მოქმედობსო.

აქაური გლეხი.

---

**ქიზიყი, 10 ივნისს.** თითქმის სამი წელიწადი სრულდება, რაც რამდენიმე ახალ გაზდობის თაოსნობით ქიზიყის ორ სოფლის: ანაგის და ვაქირის საზოგადოებამ ფინანსთ სამინისტროდგან ითხოვეს ნება-რთვა შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის დაარსებაზედ; ნება-რთვაც მოულოდნელის სისწრაფით მოვიდა და მაშასადამე ამ სამი წლის განმავალობაში ამხანაგობის საქმე გაცხარებულს წარმოებაში უნდა იმყოფებოდეს.

მაგრამ ამის ნაცვლად დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ ამხანაგობაზედ ხსოვნაც აღარ არის, არამც თუ გაცხარებული მისი წარმოება.

სადამ, როგორ, რატომ? მკითხავენ, ვიცი; ამის პასუხი მოკლე და გარდაჭრილია: ინიციატორების ანუ მოთავეების დაუდევნელობა, მათი უხასიათობა და გულ-გრილობა საზოგადო საქმისადმი. თქვე დალოცვილნო, თუკი საქმის სასარგებლოთ სოფლის საზოგადოებაში ინტერესის აღძვრა იკისრეთ, თუკი შეიძლით კიდეც ხალხში თქვენი აზრის გაყვანა და მოპოება მის მხრივ სიმპატიისა, თუკი ეს ყველა უფრო უმძიმესი შრომა ადვილად და უსასყიდლოთ გასწიეთ,—ნუ თუ დიდს ტვირთს შეადგენდა ამხანაგობის გამგეობისათვის და რჩევისათვის წევრების ამორჩევა და ჩაბარება მათთვის წიგნებ-დავთრებისა?

ეს კიდევ არაფერი. შეიძლებოდა, რომ არაფერი გვეთქვა ამ საგნის შესახებ, მაგრამ როდესაც აქეთ-იქიდამ გვესმის საფუძვლიანი სამდურავის ხმები, ჩვენ არ შეგვიძლიან კრიჭა შევიკრათ და ზნეობით მოვალეობას ჯეროვანი პატივი არა ვსცეთ. საქმე მდგომარეობს იმაში, რომ საწევრო ფული ზოგისათვის კიდეც გამოურთმევიათ და ეხლა ეს ზოგნი დადიან სანთლებით, ეძიებენ საკუთარის ოფლით მოპოებულს ფულებს, მაგრამ უბრალოდ: ვერ გაუგიათ ვისა აქვს და სადა აქვს.

ამ გვარი სრულიად უნუგეშო მდგომარეობა იძულებულს ჰხდით მათ, რათა მომავალში უარ-ჰყონ ყოველი საზოგადო საქველ-მოქმედო დაწყობილება, რადგანაც ამ გვარი მაგალითების წყალობით გაუნათლებელს ხალხს გულში ებადება შიში და ურწმუნებლობა საზოგადო საქმის სიკეთისადმი.

აი ეს გახლავთ საწყინო და შემაძრწუნებელი გარემოება, რომელიც ყოველ შემთხვევაში კეთილ-გონიერი კაცისაგან უნდა იყოს დევნილი.

ალ. მირიანაშვილი.

---

### წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ფული...

6 ივნისს 1882 წელს

ფულის ანგარიში

შემოსავალი. 1 იანვრიდამ 1... წლ. 15 მაისამდე 1881 წლ. შე... ვიდა:

ნამდვილ დაფუძნებულ წევრ... და კანდიდატებიდგან 428 მანეთი ... მი ბილეთი ამოსავლეთ სესხისა ... 728 მან. სხვა-და-სხვა პირთაგან ... მოწირული—1503 მან. 75 კაპ. (... რანსკის ბილეთი), თავნის სარგებ... 70 მან. ბალიდამ 479 მან. 30 ... ტფილისის სასწავლებლის შეგირდ... საგან 55 მან. სულ 2836 მან. 0...

15 მაისიდამ 1881 წლ. 15 მაის... 1882 წლ. შემოვიდა:

ნამდვილ და დამფუძნებელ წევ... თაგან 1143 მან. სხვა-და-სხვა პირ... გან შემოწირული 261 მან. თავნ... სარგებელი 624 მან. 77 კაპ., ბა... დამ 672 მან. 40 კაპ, წიგნების ... ყიდვიდამ 72 მან. 45 კ. ტფილ... სასწავლებლის შეგირდებისაგან 31 ... სულ 2704 მ. 62 კ.

სამი წლის განმავალობაში შემო... ვიდა:

ტფილისის საადგილ-მამულო ბან... კიდგან 11000 მან., ქუთაისის საად... გილ-მამულო ბანკიდგან 4,000 მან. ნამდვილ და დამფუძნებელ წევრთა... გან და კანდიდატებისაგან. 5402 მან. სხვა-და-სხვა პირთაგან შემოწირული 1924 მან. 75 კ. თავნის სარგებელი 1135 მან. 27 კ. ბალიდამ 1151 მან. 70 კაპ. წიგნების გაყიდვიდამ 72 მან. 45 კაპ. ტფილისის სასწავლებლის შეგირდებისაგან 119 მან. 50 კ., დაბრუნებული ფული 30 მან. სულ 2483... მან. 67 კ. და ორი მომგები ბილეთი, ქართველოვისაგან შემოწირული, რომელიც ეხლა ბირჟის ფასისა-და-გვარად ღირს 420 მან.

**ხარჯი.** 1 იანვრიდამ 1881 წლ. 15 მაისამდე 1881 წლამდე დაიხარჯა:

სასწავლო ნივთების და წიგნების სასყიდლათ 393 მან. 64 კაპ., ბათუმის სკოლის ხარჯი 599 მან. 97 კაპ.,

---

ჩადენა მოინდომა, რაიმე კვალი და საბუთები დაგიტოვოს. ამ გარემოებებს და მოსაზრების წყალობით, შეუძლებელია ამისთანა ადგილს თუ არ ჩინოვნიკურმა გაზეთმა, თავის დანიშნულებას და პირ და-პირ მიზანს ემსახუროს.

ჩვენმა ახალმა გაზეთმა აი როგორ აგვიხსნა ეს დამოკიდებულება სტამბისა და ადგილობრივ მთავრობას შორის:

„Есть, конечно много основоній и для общества сказать, что администрація упускаетъ изъ виду дѣйствительные интересы и насущныя потребности, но вѣдь недоразумѣніе всегда и всюду существуютъ?“

ბაიგეთ?! უკელა ესენი თურმე Недоразумѣніе ყოფილა! როგორ მოგწონთ ეს ადვოკატური „რეჩი“? განა ამ ნაირად თავზე ხელის გადასმა შეუძლია ლიტერატურას თუ არ ადვოკატურ მანქანებას?

თუ მივიღებთ მხედველობაში ამნაირ ძალა-უნებურ მდგომარეობას გაზეთისას და იმას, რომ რედაქცია ფინანსიურის მხრითაც არა სანატრელ მდგომარეობაშია, დავრწმუნდებით, რომ ამის სიცოცხლე ხანგრძლივი არ იქნება და თუ იცოცხლა კიდეც უფრო სხვა რამისთვის და სხვებისთვის იქმნება.

ყველაზე უფრო უნდა აბრკოლებდეს გაზეთს ის გარემოება, რომ აქაური გაზეთს მომატებული მასალა ადმინისტრაციაზე აქვს და ამისთანა მდგომარეობაში ცენზორად ადმინისტრატორია.

ვინ მოსთვლის იმდენ აყალ-მაყალს და უხეირო კაცების წყალობით, უხეიროთ წაყვანილ ბათუმის მიწების საქმეებს!? არ შევსცდებით, რომ ვსთქვათ, რომ, რაც ბათუმის მიწებზე ჩვენმა ადმინისტრაციამ და ნეტარ-ხსენებულმა კამისიამ აყალ-მაყალი ასტეხა, იმდენი ბერლინის კონგრესს არ ჰქონია თავის პირობების გარდაწყვეტაში. ადგილობრივ გარემოების უმეცარი კაცების დანიშვნამ ბათუმის მიწების საქმეები ისე გასწეწა და დაბურდა, რომ ვგონებ ვერც ოც წელიწადს გაასწოროს კაცმა და გაათავოს ამათზე ატეხილი პროცესები: ვის რა და რამდენი წაართვეს? ვის რა და რამდენი უსამართლოთ და უსაფუძვლოთ მისცეს?! ვის რა ნაირი საბუთები დაუკარგეს და რა ნაირი ვითომ-ახალი საბუთები არ მისცეს? ვის დამტკიცებული საბუთები გაუუქმეს და ვის გაუქმებული საბუთები ისევე დაუმტკიცეს (ვითომც და შეცდომით)? რამდენი ღარიბი აატირეს და რამდენი მდიდარი არ გაამდიდრეს?—ამას ანგარიში არა აქვს.

(დასასრული ხვალ)

ტფილისის სკოლის ხარჯი (აქვე ითვლება კანცელარიის და ბიბლიოთეკის სახლის ქირა ცხრა თვის განმავლობაში, რადგან სკოლა, კანცელარია და ბიბლიოთეკა ერთის დროს ერთს სახლში იყო მოწყობილი) 516 მან., სტიპენდიებზედ 390 მან., ბიბლიოთეკის შედგენაზედ 354 მან., სამი წიგნის გამოცემაზედ წითელი ფარნის, ხატაურის და „იგავ არაკების“ 158 მან. 78 კაპ., კანცელიარიის, საქმის მწარმოებლის და ბიბლიოთეკის სახლის ქირა, კანცელიარიის მოსამსახურის ჯამაგირი, აგენტების გაგზავნა, ფოჩტის ფული და სხვა წვრილი კანცელიარიული ხარჯი 35 მან. 15 კაპ., საქმის მოწარმოებლის ჯამაგირი 150 მან.. სულ 2565 მან. 52 კაპ.,

15 მაისიდამ 1881 წლ. 15 მაისამდე 1882 წლამდე დაიხარჯა: სასწავლო ნივთები და წიგნების სასყიდლათ 576 მან. 97 კაპ., ბათომის სკოლის ხარჯი 1336 მან. 58 კაპ., ტფილისის სკოლის ხარჯი (აქვე ითვლება კანცელიარის და ბიბლიოთეკის სახლის ქირა ცხრა თვის განმავლობაში, რადგან სკოლა, კანცელიარია და ბიბლიოთეკა ერთ დროს ერთს სახლში იყო მოწყობილი) 596 მან. 8 კაპ., სტიპენდიებზედ 650 მან. ბიბლიოთეკის შედგენაზედ 120 მან. სამი წიგნის გამოცემაზე (წითელი ფირონი, ხატაური და „იგავი არაკების„) 366 მან. პრემია თ. რაფ. ერისთავს „იგავ-არაკებისათვის 100 მან., წინარეხის მასწავლებელს ჯამაგირი 125 მან., კანცელიარიის, საქმის მწარმოებლის და ბიბლიოთეკის სახლის ქირა, კანცელიარიის მსახურის ჯამაგირი, აგენტების გაგზავნა, ფოჩტის ფული და სხვა წვრიმალი კანცელიარიული ხარჯი 457 მან. 62 კაპ., საქმის მწარმოებლის ჯამაგირი 450 მან., სარგებელი ნასესხი ფულისა 19 მან. 98 კ., ტირაჟში გამოსულ ბილეთებში დავკარგეთ 127 მან. სულ 5023 მანეთი და 89 კაპეიკი.

სამი წლის განმავლობაში დაიხარჯა:

სასწავლო ნივთების და წიგნების სასყიდლათ 2844 მან. 93 კაპ., ბათომის სკოლის ხარჯი 2866 მან. 55 კაპ., ტფილისის სკოლის ხარჯი (აქვე ითვლება კანცელიარიის და ბიბლიოთეკის სახლის ქირა ცხრა თვის განმავლობაში, რადგან სკოლა, კანცელიარია და ბიბლიოთეკა ერთ დროს ერთს სახლში იყო მოწყობილი) 2050 მან. 39 კაპ., სტიპენდიებზედ 2003 მან. 34 კაპ., მგალობლებს 225 მან., ბიბლიოთეკის შედგენაზე 815 მან. 60 კაპ., სამი წიგნის გამოცემაზედ (წითელი ფარნის, ხატაურის და იგავ-არაკების) 595 მ. 34 კ., პრემია თ. რაფ. ერისთავს „იგავ-არაკებისათვის“ 100 მან., მეტეხის სკოლის გადასაკეთებლათ 80 მან., ქავთისხევის სკოლის მოსათავებლათ 200 მ., წინარეხის მასწავლებელს ჯამაგირი 125 მან., კანცელიარიის წარმოებელის და ბიბლეთეკის სახლის ქირა, კანცელიარიის მსახურ ჯამაგირი აგენტების გაგზავნაც, ფოჩტის ფული და სხვა წვრილი კანცელიარიული ხარჯი 1473 მან. 47 კაპ. საქმის მაწარმოებლის ჯამაგირი 1575 მან. სარგებელი ნასესხ ფულისა 19 მან. 98 კაპ. ტირაჟში გამოსულ ბილეთებში დავკარგეთ 127 მან. სულ 15041 მ. 60 კ.

მთლათ ხარჯი და შემოსავალი სამი წლისა:

შემოსავალი: 24835 მან. 67 კაპ. და ორი მომგები ბილეთი; ხარჯი: 15,031 მან. 60 კაპ.

კასსაშია: 9,804 მან. 7 კაპ. ორი მომგები ბილეთი, რომელიც ბირჟის ფასის-და-გვარად ღირს 420 მ.

**I. მოსალოდნელი შემოსავალი მომავალს 188²/₃ წლისათვის.**

| | მანეთი. |
|---|---|
| 123 წევრთა დამფუძნებელთაგან . . . . . | 2,460 |
| 158 ნამდვილ წევრთაგან. | 950 |
| თანხის პროცენტები შეადგენს. . . . . . | 500 |
| ბალისაგან. . . . . . | 600 |
| ქუთაისის თავად-აზნაურთა ბანკისაგან. . . . . | 2,000 |
| საზოგადოების გამოცემათა გასყიდვისაგან. . . . | 200 |
| სულ | 6,710 |

**II. დასახარჯი მომავალს წლისათვის.**

| | |
|---|---|
| სასწავლო ნივთების და წიგნების სასყიდლათ . . | 1,000 |
| ბათუმის სკოლისათვის. . | 1,500 |
| ქირა კანცელარიის ოთახისა, გათბობა, განათება და მოსამსახურე . . . | 300 |
| პრემიებისათვის . . . . | 1,000 |
| სტიპენდიატებისთვის . . | 700 |
| ახალის დასაარსებელის სკოლების შესაწევრად . . | 500 |
| სახელმძღვანელო წიგნების დასაბეჭდათ . . . . | 1,000 |
| სეკრეტარის ჯამაგირი . . | 600 |
| კანცელარიის ხარჯი . . | 100 |
| ზასამრჯელო წიგნების მთარგმნელთა და გადმომკეთებულთათვის . . . | 900 |
| მოულოდნელის ხარჯისათვის . . . . . . | 300 |
| სულ | 7,900 |

## ქართული ისტორია *)

(გაგრძელება)

საქართველოს მოქცევას გვიამბობენ—უცხო-ტომთაგან; რუფინი, რომელიც კონსტანტინე დიდის დროს ჰყვაოდა, და შეჰნიშნავს, რომ ეს გარემოება მიამბოო იერუსალიმში იბერიის მეფემ ბაკურიუსმა; კოსტანტინეს შემდეგ—სოკრატი, სოზომენი, თეოდორიტი და სხვანი და სახარების გავრცელებას ჩვენში მოგვითხრობენ თანახმად ქართლის ცხოვრებისა, თუმცა ამ დროს ისინი საქართველოს მეფეთ მოიხსენებენ ბაკურის და არა მირიანს. სომხეთის მწერალთაგანნი: აგათანგი, ტირდატის სეკრეტარი მე-IV საუკ. და მოსე ქორენელი მე-V საუკ. აგათანგის „ისტორია ტირდატის მეფობაზე და გრიგოლ განმანათლებელის“ ქადაგებაზე სომხეთში მხედველობაში ჰქონია თვით ქართლის ცხოვრების შემდგენელს მირიანის დროისას, როგორც ამას თვით ქართლის ცხოვრება აღიარებს, თუმცა ის არ ასახელებს აგათანგს. მოსე ქორენელის წიგნი იმ გვარ ეთანხმება ქართლის ცხოვრების მოთხრობას მირიანზე და წმინდა ნინოზე, რომ ჩვენის აზრით, მოსეს ამ საგანზე თავისი ცნობა უნდა გამოკრებული ჰქონდეს ქართულის წყაროდამ. თვით ჩვენ მწერალთაგანნი არიან. სალომე, უჯარმელი დედოფალ, მირიან მეფის-ძის რევის მეუღლე, ტირდატ სომეხთ მეფის ასული; აბიათარ მღვდელი ურიათაგანი და აბიათარის ქალი სიდონია პირველნი ნინოს მოწაფენი. სამის თქმულება ჩართულია ქართლის ცხოვრებაში. ის მთლად იმათ უნდა მიეწეროს თუ არა, არ ვიცით; ეს კია, რომ აქ ადგილ-ადგილ იმოიკითხება იმ გვარი სიტყვები, რომელნიც შემდეგ დროს მოგვაგონებენ; მაგალ., სალომე სამეფო მტილის ანუ „სამოთხის“ აღწერაში ამბობს: „სადა იგი აწ არს სვეტი ღვთივ-აღმართული და ეკკლესია საკათალიკოზო“... „ზანაწესეს ჯვარის მსახურება... ყოველმან ქართლმან დღევანდელად დღემდე“... „რომელიმე მთიულთაგანნი უკანასკნელ მოაქცივნა აბიბოს ნეკრესელ ეპისკოპოზმა, რომელიმე მათგანნი დარჩეს წარმართობასავე დღესამომდე“. ვინ იყო ნინო გვარ-ტომობით, ამაზე ჩვენ გარდა ქართლის ცხოვრებისა, სხვა ცნობა არა გვაქვს, და ამისთვის დაჭეშმარიტებით ამ საგანზე ჯერ არა ითქმის რა. ერთ ადგილს, ვახტანგ გორგასლანის ცხოვრებაში ქართლის ცხოვრება ნინოს უწოდს „რომაელის დედა-კაცად“. ბერძნების მწერალნი იმის სახელსაც არ იხსენიებენ, და მხოლოდ იბერიის ტყვედ ჰხადიან. თვით ნინო ტყვედთ უწოდს თავის თავს. სომხეთის მწერალნი მოსე ქორენელი და წმინდა ნერსესის ბიოგრაფი იმის სახელ სდებენ ნუნედ. იტყვიან, ვითომც ასე იწოდებოდნენ საზოგადოთ ეგვიპტის მონაზონნი და უნდა ვიფიქროთ, რომ აქედამ არის წარმომდგარი სეხელ-წოდება ნინო. ქართლის-ცხოვრების ცნობა ნინოს სამშობლო ადგილზე კაპადოკაზე შესაწყნარებელია. კაპადოკია მდებარებდა ტავრის მთებში, შავის ზღვის პირათ; კაპადოკია დასახლებული იყო სხვა-და-სხვა ტომთაგან და უფრო სემიტის ნათესავისაგან. აქ ძლიერად გავრცელებული იყო სირიული ენა და ნინევიისა და ბაბილონის სწავლა-ხელოვნება, რომელიც ალექსანდრე მაკედონელის შემდეგ დაიმონავა ბერძნულმა ენამ და განათლებამ. კაპადოკიაში ნინოს დროს ქრისტეს სჯული დამყარებული იყო. აქ შეუძლებელია უყურადღებოთ დავტოვოთ ერთი ღირს-შესანიშნავი შემთხვევა. ეს ის შემთხვევაა, რომ კაპადოკიით გაყვანილმა ტყვეებმა საზოგადოთ დიდი სარგებლობა მიაგეს ახალ მცნებას. იმათ გაავრცელეს ქრისტიანობა თვით გუნნებში. გოთების პირველი ეპისკოპოზი ულფილა, რომელიც ჩვენ ზემოთ მოვიხსენეთ, იყო კაპადოკიაში დატყვევებული.—ნინო საუბრობდა რამდენსამე ენას. იმან თურმე იცოდა სომხური, რომელიც, ქართლის ცხოვრების თქმით, იმას ესწავლოს დვინელის სომხის ნიაფორესავან, ბერძნული, რომაული და ებრაული. ის იყო დახელოვნებული მკურნალობაში. ქართლის ცხოვრების ცნობითვე ნინო კაი ხანი ცხოვრებდა სომხეთში, სადაც იმისნი დაახლოვებულნი მეგობარნი იყვნენ: „დედოფალი სომეხთა მეფეთა რიფსიმე და დედა-მძუძე მისი გაიანე“. სომხეთიდამვე შემოვიდა ნინო ქართლში და მცხეთაში. ჩვენის აზრით, სომხეთის გავლენა ქართლ-კახეთის გაქრისტიანებაზე ცხად საქმეთ უნდა მიითვალოს. ამას გვიმოწმებენ როდესაც საქართველოს განათლება ახლო დროს, შემდეგ სომხეთის განათლებისა, აგრეთვე ზოგიერთი სხვა ცნობები. სომხეთის მეფემ ტირდატმა გრიგოლ განმანათლებელის ხელით ნათელ-იღო, სენ-მარტენის აზრით, 276 წელს, ბროსსეს ფიქრით კი 301 ანუ 311 წ. მირიანმა და იმის ქვეშევრდომთა მიიღეს ქრისტეს სჯული მეოთხე წელს შემდეგ ნინოს შემოსვლისა მცხეთას. ამ წელს სომხეთის მწერალი ჩამჩიანი უჩვენებს 317, ბერძნების მწერალი ბარონიუსი 311 ანუ 327. ბროსსე ნინოს შემოსვლას მოიხსენებს 325 წ. და მირიანის ნათელ-ღებას 328 წ. იმ შემთხვევისთვის, რომელსაც ჩვენ შევეხებით, ჩვენს აზრში დიდი მნიშვნელობა აქვს შემდეგ გარდამოცემას მოსე ქორენელისას. მოსე ჯერ მოკლეთ გვიამბობს ნინოს მოსვლას მცხეთაში, იმის ცხოვრებას და მოღვაწეობას, აგრეთვე მირიანის განზრახვას, რომ იმან შიშით შეყრყეულმა სიბნელის გამო ნადირობის დროს თაყვანი-სცეს ნინოს ღმერთს, მას უკან ამ სიტყვებით განაგრძობს: „მაშინ ნეტარმა ნუნემ მოითხოვა სანდო კაცნი და წარგზავნა იგინი წმიდა გრიგოლთან საკითხავად, თუ რა გვარ იმოქმედოს იმან, რადგანაც იბერიელთა ნება-ყოფლობით მიიღესო ქადაგება სახარებისა. ნუნემ მიიღო ბრძანება, რომ თვით გრიგოლის მიბაძვით დაამხოს კერპნი და ამართოს ნიშანი პატიოსნისა ჯვარისა, ვიდრე უფალი იბერიელთ განსაგებელათ მწყემს მოავლენდესო. ნუნემ მყისვე შემუსრა ჭექა-ქუხილის მპყრობელი არამაზდი, რომელიც ქალაქს გარეთ დიდის მდინარის გაღმა იდგა. ჩვეულებისამებრ მცხოვრებნი თაყვანს სცემდნენ არამაზდს ყოველდღე განთიადისას, თავიანთის სახლის სართულებიდამ, და ვისაც იმისთვის მსხვერპლის შეწირვა ჰსურდა, ის გავიდოდა მდინარეს და ტაძრების წინ მსხვერპლს დაჰკლავდა. სატრაპნი (დიდ-

*) იხ. „დროება“ № 123.

კაცნი) ქალაქისანი ადგნენ და იტყოდნენ: „ვისლა უნდა თაყვანი ვცეთო ნაცვლად კერპთა"; სცნეს, რომ „ქრისტეს ჯვარის ნიშანსაო". გათალეს იგი და ამართეს ქალაქის აღმოსავლეთად უცხო ქედზე, რომელსაც ქალაქით ჰყოფდა აგრეთვე მცირე მდინარე. გათენდა და ყველა მცხოვრებლებმა თაყვანი-სცეს მას, როგორც ამას ჩვეულება და წესი მოითხოვდა". ზოგიერთნი ჩვენნი და უცხო ტომი მწერალნი იტყვიან, რომ ქრისტეს სჯულის დასამყარებლათ მირიანის დროს საქართველოში მოვიდა ანტიოქიის პატრიარქი ევსტატე. ევსტატე ანტიოქიის პატრიარქად იჯდა 325 წლიდამ ვიდრე 331 წლამდე. ამ დროს იმის ტახტი ჩამოართვეს მწვალებლებმა და კონსტანტინე დიდმა ის განდევნა. ამტკიცებენ, ვითომც კონსტანტინემ გაუგზავნა მირიანს, იმის თხოვნით, ევსტატე ანტიოქიელი მღვდლებითურთ, ვითომც მირიანმა და ყველა ქართველებმა ნათელ-იღეს ხელითა ევსტატე ანტიოქიის პატრიარქისათა. სენ-მარტენის ფიქრით, ევსტატეს შემოსვლა საქართველოში უნდა მომხდარიყო 331 წლის შემდეგ ბროსეს სიტყვით კი 325 წელს. ბროსესაგან ნაჩვენები დრო ის დროა, როდესაც, იმის თქმითვე, ნინო შემოსულა მცხეთაში და ამისთვის თუ სენ-მარტენის აზრი ამ საგანზე შესაწყნარებელი არ არის, არც ბროსეს აზრი უნდა იყოს შესაწყნარებელი. თუ ჩვენ იმაზე დავემყარებით, რომ ნინო მოვიდა მცხეთას 225 წელს და მირიანმა ნათელ-იღო 328 წელს, მაშინ ევსტატეს მოსვლაც 328 წელს უნდა მომხდარიყო. ევსტატეს მოსვლაზე ჩვენ უფრო იმისთვის შევდექით აქ, რომ ამ შემთხვევას დიდი კავშირი აქვს შემდეგ საქართველოს მდგომარეობასთან. ვიდრე საქართველოში საკუთარი საპატრიარქო ანუ საკათალიკოზო დაწესდებოდა, მე-V საუკუნის გასულს, ვახტანგ გურგასლანის დროს, ქართული ეკლესია შეადგენდა ანტიოქიის სამწყსოს. ამ სამწყსოს განაგებდა მღვდელთ-მთავარი, რომელიც ყოველთვის ანტიოქიის პატრიარქისაგან ამოირჩევოდა და გამოიგზავნებოდა.

დიმ. ბაქრაძე

---

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს** გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირამანოვი შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუს-ავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგა-ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირამანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღ. ს სუსტის ავათმყოფობისა.

---


# განცხადებანი

### თედელეთის ნავთი

სავაჭრო სახლში „თ. ივანე კონსტანტინეს-ძე ბაგრატიონ-მუხრან ბატონი და კომპ." იყიდება თედელეთის ნავთის წყაროებიდან ახლად მოტანილი ნავთი.

მსურველთა შეუძლიანთ ნავთის ფასი იკითხონ სავაჭრო სახლის კანტორაში, რომელიც იმყოფება რუსის ბაზარში (იარმუკაზე), საკუთარს სახლში. (3—2)

---

# მაღაზია

### სალიანის თევზეულისა

უცხადებს საზოგადოებას, რომ მან ახლად მიიღო სალიანში მარტში დაჭერილი თევზეული საგანგებოდ მომზადებული და იყიდება წვრილადაც და პარტიითაც. აქვე იყიდება ყოველ დღე მოხარშული თევზეული. მაღაზია იმყოფება თამამშოვის ქარვასლის ქვეშ. (12—1)

---

ტფილისის

# კანტორა

რუსეთის მზღვეველ და ბარგის მზიდავ საზოგადოებისა (страхованія и транспортированія) გადავიდა სასახლის ქუჩაზე, დ. ზ. სარაჯოვის სახლებში. (2—1)

---

### იყიდება

თფილისის წიგნის მაღაზიებში ახლად-გამოსული რუსულს ენაზე წიგნი.

**Грузинскія крестьянскія грамоты, крѣпостные и судебные акты, грамоты и письма грузинскихъ и персидскихъ царственныхъ особъ. (Матеріалы для исторіи древной грузіи).**

**сост. Д. П. Пурцеладзе.**

ქუთაისში იყიდება ჭილაძეების მაღაზიაში.

ფასი ერთი მანეთი

---

დაიბეჭდა და იყიდება

# ქეთევ

# ყარამანის შვილის

### მოთხრობა,

მეთოთხმეტე ნაწილი.

მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ პირველის ნაწილიდამ ვიდრე უკანასკნელ ნაწილამდინ მელიქიშვილის სტამბაში, ბატონ ნიკო კობალაძესთან.

---

### ტაქსის

საგზაოდ ხორაგეულებზედ, რომლებიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, ნებში და დუქნებში 16 ივნისიდ... 1 ივლისამდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილ...

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5 |
| მეორის „ | —1 გირ. | 3 |
| მესამის „ | —1 გირ. | — |

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვ...

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 6 |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 |

ჯვარის-მამის პური:

| | | |
|---|---|---|
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | 6 |
| მეორის „ „ | —1 გირ. | 5 |
| მესამის „ „ | —1 გირ. | 5 |

ძროხის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 10 |
| მეორის „ | —1 გირ. | 8 |
| სუკი — — | —1 გირ. | 15 |
| ცხვრის ხორცი | 1 გირ. | 9 |

ღორის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | — |
| მეორის „ | —1 გირ. | — |

---

# ტფილ. ქალაქის გამგეობისაგან

ტფილისის ქალაქის გამგეობა, უმაღლესად დამტკიცებულ[ი] საქალაქო წესდების მე-17 და მე-22 მუხლის ძალით და თანახმად ქალაქის რჩევის გარდაწყვეტილებისა ამა წლის 3 მაისისა, მოიწვევს ბ.ბ. ქალაქის სახლის მეპატრონეთა რომელ[ნიც] სურთ მომავალის ოთხის წლისათვის 1883—1886 საქალაქო ამორჩევებში მონაწილეობა მიიღონ, შემოიტანონ ქალაქის გა[ნ]საში უეჭველად მომავალის 1 ივლისის თვემდინ რაც დასაფასებელი ხარჯი აძლევს იმათ მამულებსა.

ამასთანავე ქალაქის გამგეობა წინადვე აუწყებს სახლის-მეპატრონეთა, რომ ვინც კი იმათგან დანიშნულ ვადამდინ სრულად არ შემოიტანს ყველა გადასახდელ ხარჯს, გამორიცხულნი იქნებიან ამორჩეველთა სიიდამ. (3—2)

---

ფაბრიკა

# ძმათა ბუხთა ვარშავაში

## Братья Бухъ въ Варшавѣ

### ფურცლებისა, მავთულებისა და სხვა-და-სხვა ხელოვნებისა.

**ახალი ვერცხლისა** (მელქიორისა, ალფენიდისა) მივაქცევ თქვენს ყურადღებას ფურცლებზე, მავთულებზე და სუფრის მოწყობილობაზე (პრიბორზე): კოვზებზე, ჩანგლებზე, დანებზე, სუფრის და ჩაის დესერტის ხონჩებზე (ბლუდებზე), სამოვრებზე, პოდნოსებზე, ჩაინიკებზე, ყავადნებზე, სტაქნის დასადგმელებზე, სუდოკებზე, კალათებზე და სხვა **შინაურს და საეკლესიო საგნებზე:** კანკელებზე ბარძიმ-ფეშხუმზე, სალუცხლურზე, შანდლებზე, და სხვათა საეკლესიო ნივთებზედ.

გარდა ამიებისა არის კიდევ სხვა სახლის **მშვენიერი მოწყობილებანი:** ლიუსტრები, ხილის და შამპანსკისათვის ვაზები, ეტაჟერკები, სარკეები, სურები, ბაკალები, სანიცრეები და სხვ.

ეს ფირმა არსებობს 1809 წლიდამ და განთქმულია თავის მკიდრო დ[ა] რიგიანის ხელოვნებით. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ შემდეგ განყოფილებებში:

1) პეტერბურღში, ნევის ქუჩაზედ № 26 ყაზანის სობოროს პირ-დაპირ,
2) მოსკოვში, ნიკოლსკის ქუჩაზე, შერემეტიევის სახლებში,
3) მოსკოვის გამოფენაზე მე-VI განყოფილებაში,
4) ნიჟნი ნოვგოროდის ოქრომჭედლების რიგში, № 30.

პრეის-კურანტი და ფურცლების ნიმუშები მუქთათ მსურველთ გაეგზავნებათ.

ფაბრიკა ეძებს აგენტებს რეკომენდაციით. (12—4)


*Дозволено цензурою. Тифлисъ, 16 Іюня 1882 г.* *Типографія Меликова* გამომცემელი ს. მესხიშვილი. რედაქტორი ს. მესხ[ი]